

ურთიერთგაგების მემორანდუმი

საქართველოს მთავრობას,

შპს/სს [●]

და

სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“

შორის

თარიღი: **დღე/თვე/რიცხვი**

თბილისი, საქართველო

წარმოდგენილი ურთიერთგაგების მემორანდუმი (შემდგომში - „მემორანდუმი“) დადებულია შემდეგ მხარეებს შორის:

- (1) საქართველოს მთავრობა (შემდგომში - „მთავრობა“), წარმოდგენილი საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის, [●] მიერ;
- (2) შპს/სს [●] (შემდგომში - „კომპანია“), ს/კ: [●], წარმოდგენილი დირექტორის, [●] მიერ;
- (3) სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“ (შემდგომში - „ესკო“), ს/კ: 205170036, წარმოდგენილი გენერალური დირექტორის, [●] მიერ

მხარეები დებენ წინამდებარე მემორანდუმს შემდეგზე:

I - განმარტებები

1. წინამდებარე მემორანდუმში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:
 - 1.1. „აუდიტორული დასკვნა“ ნიშნავს მთავრობის შესაბამისი სამართლებრივი აქტით დამტკიცებულ ნუსხაში შემავალი აუდიტორის/აუდიტორული კომპანიის მიერ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გაცემულ მარწმუნებელი ხასიათის დოკუმენტს, რომელიც განსაზღვრავს დადასტურებული საინვესტიციო დანახარჯის ოდენობას;
 - 1.2. „დადასტურებული საინვესტიციო დანახარჯი“ ნიშნავს, მემორანდუმის ძალაში შესვლიდან, ელექტროსადგურის მშენებლობისა და კანონმდებლობით დადგენილი წესით ექსპლუატაციაში მიღების მიზნით, კომპანიის მიერ გაწეულ სრულ დანახარჯებს (რომელთა გაწევაც, ასევე, ამ დანახარჯების გაწევის გონივრულობა და მიზნობრიობა დასტურდება აუდიტორული დასკვნის საფუძველზე), მემორანდუმის მე-13 და მე-14 მუხლების მიზნებისთვის;
 - 1.3. „დღე/დღეები“ ნიშნავს კალენდარულ დღეებს;
 - 1.4. „ელექტროსადგური“ ნიშნავს ჰიდროელექტროსადგურს, რომელიც განმარტებულია მემორანდუმის დანართი N1-ით;
 - 1.5. „ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულება“ ნიშნავს პირდაპირ ხელშეკრულებას, რომელიც მემორანდუმის შესაბამისად იდება კომპანიასა და „ესკოს“ შორის;
 - 1.6. „ელექტროსადგურის ტექნიკური პარამეტრები“ ნიშნავს ელექტროსადგურის ადგილმდებარეობას, მდინარის ნიშნულებს, დადგმულ სიმძლავრესა და წლიურ გამომუშავებას, როგორც მოცემულია მემორანდუმის დანართ N1-ში;
 - 1.7. „ზამთრის თვეები“ ნიშნავს შემდეგ თვეებს: იანვარი, თებერვალი, მარტი, აპრილი, სექტემბერი, ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი;
 - 1.8. „ზაფხულის თვეები“ ნიშნავს შემდეგ თვეებს: მაისი, ივნისი, ივლისი, აგვისტო;
 - 1.9. „მიღების პუნქტი“ ნიშნავს „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს 1999 წლის 30 აპრილის კანონით განსაზღვრულ მიღების პუნქტს;
 - 1.10. „მხარეები“ ნიშნავს მთავრობას, კომპანიასა და „ესკოს“ ერთობლივად.

- 1.11. „პროექტი“ ნიშნავს ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის შესახებ ანგარიშისა და გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანალიზის მომზადებას, საჯარო განხილვების ჩატარებას და ელექტროსადგურის მშენებლობას, ფლობასა და ოპერირებას;
- 1.12. „საინვესტიციო ხარჯი“ ნიშნავს მემორანდუმის ხელმოწერის თარიღიდან მემორანდუმის შეწყვეტამდე პროექტის განხორციელების მიზნით გაწეულ ხარჯს, მათ შორის, მშენებლობის ხარჯებს, საექსპლუატაციო ხარჯებსა და პროექტის ფარგლებში გაწეულ სხვა ხარჯებს, რომელიც უნდა იყოს აუდიტირებული და შესაბამისი დოკუმენტაციით დადასტურებული, მემორანდუმის 20.4 პუნქტის მიზნებისთვის;
- 1.13. „სამინისტრო“ ნიშნავს საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს;
- 1.14. „სამშენებლო გარანტია“ ნიშნავს სამშენებლო ფაზის ფარგლებში, კომპანიის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, კომპანიის მიერ მთავრობის სასარგებლოდ წარდგენილ საბანკო გარანტიას;
- 1.15. „სამშენებლო ფაზა“ ნიშნავს დროის პერიოდს მემორანდუმის ძალაში შესვლიდან ელექტროსადგურის ექსპლუატაციაში ფაქტობრივი მიღების დღის ჩათვლით, მაგრამ არაუგვიანეს მემორანდუმის დანართი N4-ით განსაზღვრული ექსპლუატაციაში მიღების ვადისა;
- 1.16. „საწყისი ექსპლუატაციის პერიოდი“ ნიშნავს მემორანდუმის დანართი N6 ან N7-ით გათვალისწინებული შეთანხმების დადების თარიღიდან 10 წლიან პერიოდს;
- 1.17. „სახელმწიფო“ ნიშნავს საქართველოს;
- 1.18. „ფინანსური მოდელი“ ნიშნავს მემორანდუმის დანართი N5-ით განსაზღვრულ ფინანსურ მაჩვენებლებს, რომელიც მოცემულია ელექტრონული (კომპაქტური დისკის) ფორმით, მათ შორის, კომპანიის მიერ პროექტის ფარგლებში დაგეგმილი ინვესტიციის ოდენობას;
- 1.19. „ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის შესახებ ანგარიში“ ნიშნავს ამ მემორანდუმის ფარგლებში ელექტროსადგურის მშენებლობის განხორციელებადობის ტექნიკურ-ეკონომიკური საკითხების კვლევის შესახებ კომპანიის მიერ მომზადებულ და სამინისტროსთვის წარდგენილ ანგარიშს, რომელიც ადასტურებს, რომ პროექტი განხორციელებადია ტექნიკური და ფინანსურ-ეკონომიკური თვალსაზრისით და სხვა დაკავშირებულ დოკუმენტაციას;
- 1.20. „ძირითადი მხარეები“ ნიშნავს მთავრობასა და კომპანიას;
- 1.21. „წინასამშენებლო გარანტია“ ნიშნავს წინასამშენებლო ფაზის ფარგლებში კომპანიის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით მთავრობის სასარგებლოდ წარდგენილ საბანკო გარანტიას;
- 1.22. „წინასამშენებლო ფაზა“ ნიშნავს დროის პერიოდს მემორანდუმის ძალაში შესვლიდან სამშენებლო ფაზის დაწყებამდე, მაგრამ არაუმეტეს მემორანდუმის დანართი N3-ით განსაზღვრული წინასამშენებლო ფაზის ვადისა;
- 1.23. „ხელშეკრულება“ ნიშნავს მემორანდუმის დანართი N4-ით განსაზღვრულ დოკუმენტს.

II - მიზანი

2. მემორანდუმის მიზანს წარმოადგენს კომპანიის მიერ პროექტის განხორციელება საქართველოს კანონმდებლობისა და ამ მემორანდუმით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

III - წინასამშენებლო ფაზა

3. კომპანია ვალდებულია წინამდებარე მემორანდუმის დანართ N1 და N2-ში განსაზღვრული ვადებისა და პირობების შესაბამისად:
 - 3.1. განსაზღვროს პროექტისათვის საჭირო ან/და მისი ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მიწის ნაკვეთები და მათი ადგილმდებარეობა;
 - 3.2. ჩაატაროს და დაასრულოს სრული ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა მემორანდუმის დანართი N2-ით განსაზღვრულ ვადებში (მემორანდუმით განსაზღვრული ელექტროსადგურის ტექნიკური პარამეტრების ფარგლებში) და წარუდგინოს შესაბამისი ანგარიში სამინისტროს;
 - 3.3. დაასრულოს გარემოზე ზემოქმედების შეფასება და შესაბამისი ანგარიში წარუდგინოს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს და სამინისტროს;
 - 3.4. ჩაატაროს საჯარო განხილვები და წარუდგინოს შედეგები საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს და სამინისტროს;
 - 3.5. სამინისტროს წარუდგინოს წინადადება ელექტროსადგურის მშენებლობის თაობაზე მემორანდუმით განსაზღვრული ელექტროსადგურის ტექნიკური პარამეტრების ფარგლებში.
4. იმ შემთხვევაში, თუ კომპანია მემორანდუმის მე-3 მუხლით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების შედეგად გადაწყვეტს ელექტროსადგურის მშენებლობას, მან მთავრობას უნდა წარუდგინოს წინადადება მემორანდუმის დანართი N2-ით განსაზღვრულ ვადაში, რომელიც უნდა შეიცავდეს შემდეგს:
 - 4.1. კომპანიის გადაწყვეტილებას შესაბამისი ელექტროსადგურის მშენებლობაზე;
 - 4.2. სრულ ტექნიკურ პარამეტრებს, ელექტროსადგურის დადგმული სიმძლავრისა და საპროგნოზო წლიური გამომუშავების ჩათვლით;
 - 4.3. ელექტროსადგურის განლაგების ზუსტ კოორდინატებსა და მდინარის ნიშნულებს;
 - 4.4. პროექტის განხორციელებისათვის საჭირო ინვესტიციის სავარაუდო ოდენობას;
 - 4.5. სრულ ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის შესახებ ანგარიშს;
 - 4.6. გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშსა და საჯარო განხილვების შედეგებს.
5. თუ ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის შესახებ ანგარიშის ან/და გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საფუძველზე აღმოჩნდება, რომ ელექტროსადგურის მშენებლობა და ოპერირება კომპანიისათვის ტექნიკურად ან/და ეკონომიკურად არ არის მიზანშეწონილი, კომპანია, უფლებამოსილია, საკუთარი შეხედულებისამებრ, მიიღოს გადაწყვეტილება პროექტის განხორციელებაზე უარის თქმის თაობაზე, რა შემთხვევაშიც კომპანიამ შესაბამისი შეტყობინება უნდა გაუგზავნოს მთავრობას მისთვის მემორანდუმის მე-4 მუხლით გათვალისწინებული წინადადების წარდგენამდე. ასეთ შემთხვევაში, მთავრობა შესაბამისი შეტყობინების მიღებიდან 30 დღის ვადაში უზრუნველყოფს წინასამშენებლო გარანტიის (გარანტიის დაბრუნების მომენტისთვის არსებული ოდენობით) კომპანიისთვის დაბრუნებას.
6. კომპანიის მიერ მემორანდუმის მე-4 მუხლის შესაბამისად წინადადების წარდგენიდან 5 (ხუთი) თვის ვადაში სამინისტრო და კომპანია ერთობლივად განიხილავენ ელექტროსადგურის მშენებლობის მიზანშეწონილობის საკითხს და შესაბამისი ხელშეკრულების პირობებს, რაზეც შეთანხმების შემთხვევაში, საკითხი საბოლოო

გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარედგინება მთავრობას, ხოლო ელექტროსადგურის მშენებლობის მიზანშეწონილობისა და ხელშეკრულების ხელმოწერის თაობაზე მთავრობის დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, მხარეები ხელს მოაწერენ ხელშეკრულებას. მთავრობის აღნიშნული გადაწყვეტილება უნდა ეყრდნობოდეს მხოლოდ კომპანიის მიერ წარდგენილ წინადადებას, ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის შესახებ ანგარიშისა და გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის ან/და საჯარო განხილვების შედეგებს.

6.¹ იმ შემთხვევაში, თუ ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის ან/და გარემოზე ზემოქმედების შეფასების/საჯარო განხილვების შედეგებზე დაყრდნობით, კომპანიის მიერ სამინისტროსთვის მემორანდუმის მე-4 მუხლით გათვალისწინებული წინადადების საფუძველზე, მხარეთა შეთანხმებით იცვლება ელექტროსადგურის ტექნიკური პარამეტრ(ებ)ი ან/და პროექტის ფარგლებში დაგეგმილი ინვესტიციის ოდენობა და ამგვარად შეცვლილი პარამეტრ(ებ)ის ფინანსურ მოდელში ასახვის შედეგად მიღებული ტარიფის ოდენობა იქნება მემორანდუმის მე-12 მუხლში მითითებული ტარიფის ოდენობის ტოლი ან მეტი (იმ პირობით, რომ ფინანსურ მოდელში დაფიქსირებული პროექტის ინვესტიციაზე უკუგების კოეფიციენტი („Project Internal Rate of Return”) დარჩება უცვლელი), საწყისი ექსპლუატაციის პერიოდში მემორანდუმის მე-12 მუხლში მითითებული ტარიფი დარჩება უცვლელი.

6.² იმ შემთხვევაში, თუ ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის ან/და გარემოზე ზემოქმედების შეფასების/საჯარო განხილვების შედეგებზე დაყრდნობით, კომპანიის მიერ სამინისტროსთვის მემორანდუმის მე-4 მუხლით გათვალისწინებული წინადადების საფუძველზე, მხარეთა შეთანხმებით იცვლება ელექტროსადგურის ტექნიკური პარამეტრ(ებ)ი ან/და პროექტის ფარგლებში დაგეგმილი ინვესტიციის ოდენობა და ამგვარად შეცვლილი პარამეტრების ფინანსურ მოდელში ასახვის შედეგად მიღებული ტარიფის ოდენობა იქნება მემორანდუმის მე-12 მუხლში მითითებული ტარიფის ოდენობაზე ნაკლები (იმ პირობით, რომ ფინანსურ მოდელში დაფიქსირებული პროექტის ინვესტიციაზე უკუგების კოეფიციენტი („Project Internal Rate of Return”) დარჩება უცვლელი), „ესკოსთვის” მისაყიდი ელექტროენერჯის ტარიფი შემცირდება და საწყისი ექსპლუატაციის პერიოდში განისაზღვრება ფინანსურ მოდელში მემორანდუმის ამ მუხლის შესაბამისად შეცვლილი პარამეტრ(ებ)ის ასახვის შედეგად მიღებული ოდენობით. ასეთ შემთხვევაში მხარეთა შორის დაიდება წერილობითი შეთანხმება ამ მემორანდუმში ცვლილების შეტანის თაობაზე, მემორანდუმის შესაბამისი პარამეტრ(ებ)ის, მე-12 მუხლში მითითებული ტარიფისა და ფინანსური მოდელის კორექტირების მიზნით. აღნიშნული შეთანხმების საფუძველზე, ელექტროენერჯის ტარიფის შემცირების შესახებ შესაბამისი ცვლილება განხორციელდება „ესკოსა“ და კომპანიას შორის გაფორმებული ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებაში.

7. წინასამშენებლო გარანტია

7.1. წინასამშენებლო ფაზის ფარგლებში კომპანიის ვალდებულებების, მათ შორის, ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის კვლევისა და გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის, საჯარო განხილვების და სამშენებლო გარანტიის წარმოდგენის უზრუნველყოფის მიზნით, კომპანიამ მთავრობას წარუდგინა N[●] წინასამშენებლო საბანკო გარანტია [●] აშშ დოლარის ოდენობით. კომპანიის მიერ წარდგენილი წინასამშენებლო გარანტიის მოქმედების ვადა სამშენებლო ფაზის დაწყების თარიღს 2 თვით უნდა აღემატებოდეს. კომპანიის მიერ წარმოდგენილი წინასამშენებლო გარანტია

გაცემული უნდა იყოს **სახელმწიფოს** მიერ ლიცენზირებული ბანკის ან „ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის“ („OECD“) წევრი ქვეყნის ბანკის მიერ. **წინასამშენებლო გარანტიის** ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს გარანტიის გამცემი ბანკის სააქციო კაპიტალის 15 პროცენტს.

7.2. **მთავრობა** უფლებამოსილია **წინასამშენებლო გარანტიით** გათვალისწინებული თანხა გამოითხოვოს სრულად ან ნაწილობრივ და აცნობოს **კომპანიას** ამის თაობაზე, შემდეგ შემთხვევებში, თუ:

- ა) **კომპანიამ** დაარღვია მემორანდუმის დანართი N2-ით განსაზღვრული გრაფიკი ჯამში 30 დღეზე მეტი ვადით - **წინასამშენებლო გარანტიის** 50%-ის ოდენობით;
- ბ) **კომპანიამ** დაარღვია მემორანდუმის დანართი N2-ით განსაზღვრული გრაფიკი ჯამში 60 დღეზე მეტი ვადით - **წინასამშენებლო გარანტიის** სრული ოდენობით.

IV - სამშენებლო ფაზა

8. **კომპანია სამშენებლო ფაზის** განმავლობაში ვალდებულია:

- 8.1. მოიპოვოს **პროექტის** განხორციელებისათვის საჭირო ან/და **პროექტის** არეალში მოქცეულ მიწებზე შესაბამისი უფლებები;
- 8.2. **მემორანდუმის** დანართი N3-ით განსაზღვრულ ვადაში, მოიპოვოს და **მთავრობას** წარუდგინოს შესაბამისი მშენებლობის ნებართვა;
- 8.3. **მემორანდუმის** დანართი N3-ით განსაზღვრულ ვადაში, მშენებლობის ნებართვის საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, დაიწყოს **ელექტროსადგურის** მშენებლობა;
- 8.4. ააშენოს **ელექტროსადგური ელექტროსადგურის ტექნიკური პარამეტრების** ფარგლებში და უზრუნველყოს მისი ექსპლუატაციაში მიღება **მემორანდუმის** დანართი N3-ით განსაზღვრულ ვადაში;
- 8.5. უზრუნველყოს **პროექტის** ეფექტური განხორციელებისათვის საჭირო ფულადი სახსრების მოზიდვა;
- 8.6. საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს საქართველოს **მთავრობის, სამინისტროს,** საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ან/და სხვა ნებისმიერი უფლებამოსილი **სახელმწიფო** ორგანოს სრული და თავისუფალი წვდომა **ელექტროსადგურის** სამშენებლო პროცესის მონიტორინგის მიზნით;
- 8.7. უფლებამოსილი **სახელმწიფო** ორგანოს მოთხოვნის შემთხვევაში, საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს სამშენებლო მასალების ხარისხისა და უსაფრთხოების მონიტორინგი.

9. **სამშენებლო გარანტია**

- 9.1. **მემორანდუმის** დანართი N3-ით განსაზღვრული მშენებლობის ნებართვის საფუძველზე **ელექტროსადგურის** მშენებლობის დაწყების და ექსპლუატაციაში მიღების უზრუნველსაყოფად, **ხელშეკრულების** ხელმოწერის დღეს **კომპანია** ვალდებულია **მთავრობის** სასარგებლოდ წარადგინოს **სამშენებლო გარანტია ელექტროსადგურის** დადგმული სიმძლავრის მიხედვით, 100 მეგავატი სიმძლავრის ჩათვლით - ყოველი მეგავატისათვის 100,000.00 (ასი ათასი), ხოლო 100 მეგავატზე მეტი სიმძლავრის შემთხვევაში - ყოველი მეგავატისათვის 50,000.00 (ორმოცდაათი ათასი) აშშ დოლარის ან მისი ეკვივალენტის ევროში ოდენობით. **კომპანიის** მიერ წარდგენილი **სამშენებლო გარანტია** ძალაში უნდა დარჩეს **მემორანდუმის** დანართი N3-ით განსაზღვრული **ელექტროსადგურის**

ექსპლუატაციაში მიღების დღიდან 4 თვის განმავლობაში. კომპანიის მიერ წარმოდგენილი **სამშენებლო გარანტია** გაცემული უნდა იყოს **სახელმწიფოს** მიერ ლიცენზირებული ბანკის ან „ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის“ („OECD“) წევრი ქვეყნის ბანკის მიერ. კომპანიის მიერ ამ პუნქტის შესაბამისად **სამშენებლო გარანტიის** წარდგენის შემთხვევაში, მისი წარდგენიდან 30 (ოცდაათი) **დღის** განმავლობაში დაუბრუნდება **წინასამშენებლო გარანტია** (გარანტიის დაბრუნების მომენტისთვის არსებული ოდენობით). **სამშენებლო გარანტიის** ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს გარანტიის გამცემი ბანკის სააქციო კაპიტალის 15 პროცენტს.

- 9.2. კომპანიის მიერ **მემორანდუმის** დანართი N3-ით განსაზღვრული მშენებლობის ნებართვის საფუძველზე მშენებლობის დაწყების ვადის დარღვევა გამოიწვევს კომპანიისთვის ჯარიმის დაკისრებას **სამშენებლო გარანტიის** 1.5%-ის (ერთი მთელი ხუთი მეათედი პროცენტის) ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ **დღეზე**. ამავდროულად, კომპანია ვალდებულია დაკისრებული ჯარიმა გადაიხადოს **სამინისტროს** შესაბამისი მოთხოვნიდან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) დღის ვადაში.
- 9.3. კომპანიის მიერ **მემორანდუმის** დანართი N3-ით განსაზღვრული ექსპლუატაციაში მიღების ვადის დარღვევა გამოიწვევს კომპანიისთვის ჯარიმის დაკისრებას **სამშენებლო გარანტიის** 1.5%-ის (ერთი მთელი ხუთი მეათედი პროცენტის) ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ **დღეზე**. ამავდროულად, კომპანია ვალდებულია დაკისრებული ჯარიმა გადაიხადოს **სამინისტროს** შესაბამისი მოთხოვნიდან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) დღის ვადაში.
- 9.4. **მთავრობა** უფლებამოსილია **სამშენებლო გარანტიით** გათვალისწინებული თანხა გამოითხოვოს სრულად ან ნაწილობრივ შემდეგ შემთხვევებში:
 - ა) კომპანიამ შესაბამისი მოთხოვნის შემთხვევაში **მემორანდუმით** დადგინდეს ვადაში არ გადაიხადა **მემორანდუმის** 9.2 ან/და 9.3 პუნქტის შესაბამისად დაკისრებული ჯარიმა - გადაუხდელი ჯარიმის ოდენობით;
 - ბ) **მთავრობა** მემორანდუმის 17.5, 17.6, 17.7, 17.8 ან 17.9 პუნქტების შესაბამისად წყვეტს მემორანდუმს - არსებული **სამშენებლო გარანტიის** სრული ოდენობით.

V - ელექტროენერჯის რეალიზაციის ზოგადი პირობები

10. საქართველოს ელექტრომომარაგების უზრუნველყოფის მიზნით, **ელექტროსადგურის** ექსპლუატაციაში მიღებიდან 10 (ათი) წლის განმავლობაში, ყოველი წლის **ზამთრის თვეებში**, **ელექტროსადგურის** მიერ ფაქტობრივად გამომუშავებული ელექტროენერჯის რეალიზაცია კომპანიის მიერ სრულად უნდა განხორციელდეს საქართველოს ადგილობრივ ბაზარზე.
11. **ელექტროსადგურის** ექსპლუატაციაში მიღებიდან **საწყისი ექსპლუატაციის პერიოდის** დასრულებამდე ყოველი კალენდარული წლის **ზაფხულის თვეებში**, ასევე, **საწყისი ექსპლუატაციის პერიოდის** დასრულების შემდეგ, კომპანია უფლებამოსილია, საკუთარი შეხედულებისამებრ, განახორციელოს გამომუშავებული ელექტროენერჯის რეალიზაცია საქართველოს ადგილობრივ ბაზარზე ან/და განახორციელოს ექსპორტი ნებისმიერი მიმართულებით, საქართველოს კანონმდებლობისა და **მემორანდუმით** განსაზღვრული პირობების შესაბამისად.
12. **საწყისი ექსპლუატაციის პერიოდის** ყოველი წლის **ზამთრის თვეებში**, კომპანია ვალდებულია **ელექტროსადგურის** მიერ ფაქტობრივად გამომუშავებული

ელექტროენერჯის რეალიზაცია სრულად განხორციელოს ექსკლუზიურად „ესკოზე“ ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულების შესაბამისად, მიღების პუნქტში ტარიფით [●] აშშ ცენტი - 1 კვტ.სთ. კომპანიამ და „ესკომ“ მემორანდუმის პირობების შესაბამისად ხელი უნდა მოაწერონ ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებას.

13.იმ შემთხვევაში, თუ ელექტროსადგურის ექსპლუატაციაში მიღების შემდგომ, აუდიტორული დასკვნის თანახმად დადგენილი დადასტურებული საინვესტიციო დანახარჯის ოდენობის სამინისტროს მიერ ფინანსურ მოდელში (დაგეგმილი ინვესტიციის ოდენობის ნაცვლად) ასახვის შედეგად მიღებული ტარიფის ოდენობა იქნება მემორანდუმის მე-12 მუხლში მითითებული ტარიფის ოდენობის ტოლი ან მეტი (იმ პირობით, რომ ფინანსურ მოდელში დაფიქსირებული პროექტის ინვესტიციაზე უკუგების კოეფიციენტი („Project Internal Rate of Return“) დარჩება უცვლელი), საწყისი ექსპლუატაციის პერიოდში მემორანდუმის მე-12 მუხლში მითითებული ტარიფი დარჩება უცვლელი. ასეთ შემთხვევაში კომპანიის მიერ აუდიტორული დასკვნის სამინისტროსთვის წარდგენიდან 60 (სამოცი) დღის ვადაში მთავრობა, „ესკო“ და კომპანია ხელს მოაწერენ ამ მემორანდუმის დანართი N6-ით მოცემულ შეთანხმებას ტარიფის უცვლელად დატოვების შესახებ, მემორანდუმის მე-12 მუხლით განსაზღვრული ტარიფის მითითებით.

14.იმ შემთხვევაში, თუ ელექტროსადგურის ექსპლუატაციაში მიღების შემდგომ, აუდიტორული დასკვნის თანახმად დადგენილი დადასტურებული საინვესტიციო დანახარჯის ოდენობის სამინისტროს მიერ ფინანსურ მოდელში (დაგეგმილი ინვესტიციის ოდენობის ნაცვლად) ასახვის შედეგად მიღებული ტარიფის ოდენობა იქნება მემორანდუმის მე-12 მუხლში მითითებული ტარიფის ოდენობაზე ნაკლები (იმ პირობით, რომ ფინანსურ მოდელში დაფიქსირებული პროექტის ინვესტიციაზე უკუგების კოეფიციენტი („Project Internal Rate of Return“) დარჩება უცვლელი), „ესკოსთვის“ მისაყიდი ელექტროენერჯის ტარიფი შემცირდება და საწყისი ექსპლუატაციის პერიოდში განისაზღვრება ფინანსურ მოდელში დადასტურებული საინვესტიციო დანახარჯის ასახვის შედეგად მიღებული ოდენობით. ასეთ შემთხვევაში:

14.1. კომპანიის მიერ აუდიტორული დასკვნის სამინისტროსთვის წარდგენიდან 60 (სამოცი) დღის ვადაში მთავრობა, „ესკო“ და კომპანია ხელს მოაწერენ ამ მემორანდუმის დანართი N7-ით მოცემულ შეთანხმებას ტარიფის შემცირების შესახებ, შემცირებული ტარიფის მითითებით; და

14.2. მხარეებს შორის დანართი N7-ით მოცემული შეთანხმების დადების შემდგომ, ელექტროენერჯის ტარიფის შემცირების შესახებ შესაბამისი ცვლილება განხორციელდება „ესკოსა“ და კომპანიას შორის გაფორმებული ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებაში.

VI - მხარეთა ვალდებულებები

15.პროექტის განხორციელების მიზნით, წინამდებარე მემორანდუმისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, კომპანია, ამ მემორანდუმით განსაზღვრული სხვა ვალდებულებების შესრულებასთან ერთად, ვალდებულია:

15.1. უზრუნველყოს პროექტის განხორციელება;

15.2. შეინარჩუნოს ელექტროსადგური ელექტროსადგურის ტექნიკური პარამეტრების ფარგლებში;

- 15.3. უზრუნველყოს, რომ **პროექტის** განხორციელების პერიოდში, **პროექტზე** დასაქმებულთა სულ მცირე 80% (მენეჯმენტის და ექსპერტების გარდა) იყოს საქართველოს მოქალაქე;
- 15.4. **მემორანდუმის** მე-13 და მე-14 მუხლების მიზნებისათვის, საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს **აუდიტორული დასკვნის** მომზადება და **სამინისტროსთვის** წარდგენა არაუგვიანეს **ელექტროსადგურის** ექსპლუატაციაში მიღებიდან 3 (სამი) თვის ვადაში.
16. **პროექტის** განხორციელების მიზნით, წინამდებარე **მემორანდუმის** და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, **მთავრობა**, თავისი კომპეტენციის ფარგლებში და იმ პირობით, რომ **კომპანია** სრულად დააკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით და ამ **მემორანდუმით** გათვალისწინებულ მოთხოვნებს, ვალდებულია:
- 16.1. მაქსიმალურად დაეხმაროს **კომპანიას პროექტის** განხორციელების პროცესში, მათ შორის, შესაბამისი დახმარება გაუწიოს საჭირო ნებართვებისა და ლიცენზიების გაცემასთან დაკავშირებით;
- 16.2. უზრუნველყოს **პროექტის** განხორციელებისთვის საჭირო **სახელმწიფო** საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების **კომპანიისათვის** საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გადაცემა;
- 16.3. ხელი მოაწეროს **მემორანდუმის** დანართ N6-ში ან N7-ში მოცემულ შეთანხმებას.

VII - მემორანდუმის შეწყვეტა

17. **მთავრობა** უფლებამოსილია ცალმხრივად, **კომპანიისათვის** გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე, დაუყოვნებლივ შეწყვიტოს **მემორანდუმი** შემდეგ შემთხვევებში, თუ:
- 17.1. **კომპანია** დაარღვევს **მემორანდუმის** დანართით N2 გათვალისწინებულ გრაფიკს და აღნიშნული დარღვევა გაგრძელდება ჯამში 60 (სამოცი) **დღეზე** მეტი ვადით;
- 17.2. მშენებლობის შესახებ **კომპანიის** მიერ მე-4 მუხლის შესაბამისად **სამინისტროსთვის** წინადადება არ იქნა წარდგენილი;
- 17.3. **კომპანია** იყენებს **მემორანდუმის** მე-5 მუხლით გათვალისწინებულ უფლებას;
- 17.4. **მთავრობის** მიერ მემორანდუმის მე-6 მუხლის შესაბამისად დადებითი გადაწყვეტილების მიღების მიუხედავად, ამავე მუხლით დადგენილ ვადაში **კომპანიის** ბრალით ან/და **კომპანიის** მიერ ხელი არ მოეწერა **ხელშეკრულებას**;
- 17.5. **კომპანია** არ ასრულებს **მემორანდუმის** მე-8, მე-10 მუხლებით ან/და 15.1-15.3 პუნქტებით ნაკისრ ვალდებულებებს ჯამში 60 (სამოცი) **დღეზე** მეტი ვადით;
- 17.6. **მემორანდუმის** 9.2 პუნქტის შესაბამისად დაკისრებული ჯარიმის ოდენობა მიაღწევს თავდაპირველად წარმოდგენილი **სამშენებლო გარანტიის** ოდენობის 50%-ს ან მეტს;
- 17.7. **მემორანდუმის** 9.3 პუნქტის შესაბამისად დაკისრებული ჯარიმის ოდენობა მიაღწევს თავდაპირველად წარმოდგენილი **სამშენებლო გარანტიის** ოდენობის 50%-ს ან მეტს;
- 17.8. **კომპანიამ** უარი თქვა **პროექტის** განხორციელებაზე, გარდა **მემორანდუმის** მე-5 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა;
- 17.9. **კომპანიის** მიერ მოწოდებული ან/და **მთავრობის** მიერ მოპოვებული ინფორმაციის/დოკუმენტაციის საფუძველზე, ცნობილი გახდა, რომ **კომპანიის** მიერ არ განხორციელებულა **მემორანდუმით** აღებული ვალდებულებების

შესასრულებლად აუცილებელი ქმედებები და აღნიშნული გრძელდება 60 (სამოცი) დღეზე მეტი ვადით;

18. მთავრობის მიერ მემორანდუმის შეწყვეტა გამოიწვევს შემდეგს:

18.1. კომპანიას მემორანდუმის შეწყვეტისთანავე ჩამოერთმევა პროექტის განხორციელების უფლება;

18.2. კომპანიის ხელთ არსებულ ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის შესახებ ანგარიშსა და შესაბამის გარემოზე ზემოქმედების შესახებ ანგარიშებზე, ისევე, როგორც პროექტთან დაკავშირებულ, მათ შორის, კომპანიის მიერ შემუშავებულ, სხვა ნებისმიერ დოკუმენტსა და ნახაზზე ექსკლუზიური საკუთრების უფლება უსასყიდლოდ გადაეცემა მთავრობას, მემორანდუმის შეწყვეტიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში;

18.3. სახელმწიფოს უსასყიდლოდ გადაეცემა შესაბამისი უფლებები (მათ შორის, საკუთრების უფლება) პროექტის განხორციელებისთვის საჭირო ან/და მისი ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ მიწის ნაკვეთებზე, რომლებიც გადაცემის მომენტისთვის უნდა იყოს უფლებრივად უნაკლო, მემორანდუმის შეწყვეტიდან არაუგვიანეს 3 (სამი) თვის ვადაში;

19. კომპანია უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს მემორანდუმი მთავრობისთვის გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე, შემდეგ შემთხვევებში, თუ:

19.1. კომპანია იყენებს მემორანდუმის მე-5 მუხლით გათვალისწინებულ უფლებას. აღნიშნულის თაობაზე კომპანიამ მთავრობას უნდა გაუგზავნოს შეტყობინება ასეთი სახის შეწყვეტამდე 60 (სამოცი) დღით ადრე;

19.2. მთავრობა არსებითად დაარღვევს მემორანდუმით ნაკისრ ვალდებულებებს. ასეთ შემთხვევაში კომპანია ვალდებულია უზრუნველყოს მთავრობისთვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნა მემორანდუმის შეწყვეტამდე 90 (ოთხმოცდაათი) დღით ადრე;

19.3. ფორს-მაჟორი გრძელდება 180 (ას ოთხმოცი) დღეზე მეტი ვადით.

20. კომპანიის მიერ მემორანდუმის მე-19 მუხლის საფუძველზე შეწყვეტა გამოიწვევს შემდეგს:

20.1. კომპანიას მემორანდუმის შეწყვეტისთანავე ჩამოერთმევა პროექტის განხორციელების უფლება;

20.2. კომპანიის ხელთ არსებულ ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის შესახებ ანგარიშსა და შესაბამის გარემოზე ზემოქმედების შესახებ ანგარიშებზე, ისევე, როგორც პროექტთან დაკავშირებულ, მათ შორის, კომპანიის მიერ შემუშავებულ, სხვა ნებისმიერ დოკუმენტსა და ნახაზზე ექსკლუზიური საკუთრების უფლება უსასყიდლოდ გადაეცემა მთავრობას, მემორანდუმის შეწყვეტიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში;

20.3. სახელმწიფოს უსასყიდლოდ გადაეცემა შესაბამისი უფლებები (მათ შორის, საკუთრების უფლება) პროექტის განხორციელებისთვის საჭირო ან/და მისი ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ მიწის ნაკვეთებზე, რომლებიც გადაცემის მომენტისთვის უნდა იყოს უფლებრივად უნაკლო, მემორანდუმის შეწყვეტიდან არაუგვიანეს 3 (სამი) თვის ვადაში;

20.4. წინამდებარე მემორანდუმის 19.2 პუნქტის შესაბამისად შეწყვეტის შემთხვევაში, კომპანია უფლებამოსილია მოითხოვოს და მიიღოს საინვესტიციო ხარჯი კომპანიის მიერ მემორანდუმის 20.2 და 20.3 პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულად შესრულების შემდეგ.

- 20.5. წინამდებარე მემორანდუმის 19.3 პუნქტის შესაბამისად შეწყვეტის შემთხვევაში, მთავრობამ კომპანიას უნდა დაუბრუნოს კომპანიის მიერ მთავრობისთვის წარდგენილი სამშენებლო გარანტია (გარანტიის დაბრუნების მომენტისათვის არსებული ოდენობით) კომპანიის მიერ მემორანდუმის 20.2 და 20.3 პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულად შესრულების შემდეგ.
21. იმ შემთხვევაში თუ კომპანიამ მემორანდუმის 15.4 პუნქტით დადგენილ ვადაში სამინისტროს არ წარუდგინა აუდიტორული დასკვნა ან მემორანდუმის მე-13 ან/და მე-14 მუხლებით დადგენილ ვადაში კომპანიის ბრალით ან/და კომპანიის მიერ ხელი არ მოეწერა, დანართი N6 ან N7-ით გათვალისწინებულ შეთანხმებას:
- 21.1. მთავრობა კომპანიას ამ უკანასკნელის მიერ მოთხოვნიდან 60 (სამოცი) დღის ვადაში დაუბრუნებს სამშენებლო გარანტიას (გარანტიის დაბრუნების მომენტისათვის არსებული ოდენობით);
- 21.2. კომპანიას შეუწარმუნდება ელექტროსადგურის ფლობისა და ოპერირების უფლება;
- 21.3. მემორანდუმის მე-12 მუხლი (და მასთან მემორანდუმის პირდაპირ დაკავშირებული დებულებები), ასევე, ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულება დაუყოვნებლივ, ავტომატურად შეწყვეტს მოქმედებას.
22. მემორანდუმი შესაძლებელია შეწყდეს მხარეთა ურთიერთშეთანხმებით ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
23. მემორანდუმის მე-17, მე-19 და 22-ე მუხლების შესაბამისად შეწყვეტა იწვევს მემორანდუმის ყველა მხარისათვის მის შეწყვეტასა და შესაბამისად, ხელშეკრულებისა და ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულების შეწყვეტას.
24. ყოველგვარი ეჭვის თავიდან აცილების მიზნით, ამ მემორანდუმის ფარგლებში საინვესტიციო ხარჯის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება კომპანიას აქვს მხოლოდ მემორანდუმის 19.2 პუნქტის შესაბამისად შეწყვეტის შემთხვევაში.

VIII - მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავის გადაწყვეტა

25. მემორანდუმი დადებულია, რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
26. ყველა დავა, რომელიც წარმოიშობა წინამდებარე მემორანდუმიდან გამომდინარე ან/და მასთან დაკავშირებით, გადაწყდება საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

IX - ფორს-მაჟორი

27. ფორს-მაჟორი ნიშნავს ნებისმიერ მოვლენას, რომელიც მხარეების გონივრულ კონტროლის მიღმაა და მისი წარმოქმნის წინასწარ განჭვრეტა შეუძლებელი იყო მემორანდუმის დადების მომენტისათვის, მათ შორის, ომი, რევოლუცია, ამბოხი, აჯანყება, სამოქალაქო ომი, ინტერვენცია, შეიარაღებული კონფლიქტი, ტერორისტული აქტი, საბოტაჟი, რადიაცია, ბიოლოგიური ან ქიმიური დაბინძურება, აფეთქება, ხანძარი, ეპიდემია, ციკლონი, მეწყერი, მეხი, მიწისძვრა, წყალდიდობა, ვულკანის ამოფრქვევა, სხვა სტიქიური უბედურება ან ნებისმიერი მსგავსი მოვლენა.
28. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე მხარეს ხელი ეშლება მემორანდუმით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაში მემორანდუმის 27-ე მუხლში აღნიშნული ფორს-მაჟორული გარემოების დადგომის გამო, მან დაუყოვნებლივ წერილობით უნდა

შეატყობინოს დანარჩენ მხარეებს აღნიშნულის შესახებ. ამავე მხარემ გონივრულ ვადაში უნდა წარუდგინოს დანარჩენ მხარეებს დეტალური ინფორმაცია ფორს-მაჟორის მიზეზებისა და შედეგების შესახებ.

29.თუ ფორს-მაჟორული გარემოება ხელს შეუშლის ნებისმიერი მხარის მემორანდუმით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულების ან/და მისი ნაწილის ჯეროვნად შესრულებას, იმ მხარეს, რომელიც ფორს-მაჟორზე მიუთითებს, ასეთ გარემოებასა და შესაბამისი ვალდებულების შეუსრულებლობას შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადასტურების შემთხვევაში, ვალდებულებების შეუსრულებლობა ჩაეთვლება საპატიოდ და მემორანდუმის დანარჩენ მხარეებს არ ექნებათ უფლება შეწყვიტონ მემორანდუმი აღნიშნული საფუძვლით, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

X - დასკვნითი დებულებები

30.მემორანდუმის ცალკეული დებულება შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

31.იმ შემთხვევაში, თუ მემორანდუმის ნებისმიერი დებულება გახდება ბათილი ან ძალადაკარგული, ეს არ იქონიებს გავლენას მემორანდუმის სხვა დებულებებზე.

32.წინამდებარე მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან.

33.წინამდებარე მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე, სამ თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად.

ხელმოწერები

საქართველოს მთავრობა

[სახელი, გვარი]

შპს/სს [●]

[სახელი, გვარი]

სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“

[სახელი, გვარი]

დანართი N1

ელექტროსადგურის ტექნიკური პარამეტრები

დასახელება	ადგილმდებარეობა	მდინარის ნიშნულები მეტრი ზღვის დონიდან		წლიური გამომუშავება მლნ.კვტ.სთ	სიმძლავრე მგვტ

დანართი N2

წინასამშენებლო ფაზის გრაფიკი

ელექტროსადგურის დასახელება: [●]	თვეების რაოდენობა მემორანდუმის ხელმოწერის თარიღიდან		
ადგილმდებარეობისა და ძირითადი პარამეტრების განმარტებები			
ტოპოგრაფიული კვლევა და რუკების მომზადება			
გეოლოგია, გეოფიზიკა			
სეისმური რისკის ანალიზი			
სამშენებლო მასალების კვლევა			
მეტეოროლოგიური და ჰიდროლოგიური კვლევები			
ჰიდრავლიკური კვლევები			
ალტერნატიული ანალიზი			
ტექნიკური დიზაინი			
ინფრასტრუქტურა			
ელექტროენერჯის გენერაცია და გამოყენება			
ქსელთან მიერთება და გადამცემი ხაზი			
ეკოლოგია			
სამუშაოების მოცულობის უწყისი			
მშენებლობის ორგანიზირება			
ეკონომიკური ანალიზი			
ფინანსური ანალიზი			
შესყიდვების დაგეგმვა და განხორციელების გეგმა			
სამუშაო ძალის დატრენინგების გრაფიკი			
ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის კვლევის წარდგენა			
გარემოზე ზემოქმედების და სოციალური რისკების შეფასების ანგარიშის მომზადება და წარდგენა			
საჯარო განხილვის ჩატარება და შედეგების წარდგენა			
პროექტის განხორციელებისათვის საჭირო მიწის ნაკვეთების ადგილმდებარეობის დადგენა და განსაზღვრა			
პროექტის განხორციელების თაობაზე სამინისტროსთვის წინადადების წარდგენა			

დანართი N3

სამშენებლო ფაზის გრაფიკი

ელექტროსადგურის დასახელება: [•]	თვეების რაოდენობა ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან
მშენებლობის ნებართვის საფუძველზე მშენებლობის დაწყება	
ექსპლუატაციაში მიღება	

დანართი N4

**ხელშეკრულება
სამშენებლო ფაზის დაწყების შესახებ**

ქ. თბილისი

___/___ 201__

საქართველოს მთავრობა (შემდგომში: „მთავრობა“) წარმოდგენილი საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრის, [სახელი, გვარი] მიერ,

და

სს/შპს [კომპანიის დასახელება] (შემდგომ: „კომპანია“) ს/კ: [●], წარმოდგენილი მისი დირექტორის [სახელი, გვარი] მიერ,

ვინაიდან, ძირითადად მხარეებმა, მემორანდუმის შესაბამისად კომპანიის მიერ მომზადებული და წარდგენილი ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის შესახებ ანგარიშის, ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასებისა და საჯარო განხილვის შედეგების საფუძველზე, მიიღეს ერთობლივი გადაწყვეტილება მემორანდუმის დანართი N1-ით გათვალისწინებული ელექტროსადგურის მშენებლობის თაობაზე;

ვინაიდან, კომპანიამ მემორანდუმის 9.1. მუხლის საფუძველზე მთავრობის სასარგებლოდ წარადგინა სამშენებლო გარანტია;

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ძირითადი მხარეები ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას მემორანდუმით გათვალისწინებული სამშენებლო ფაზის დაწყების თაობაზე.

საქართველოს მთავრობა

[სახელი გვარი]

სს/შპს [კომპანიის დასახელება]

[სახელი გვარი]

დანართი N6

შეთანხმება ტარიფის უცვლელად დატოვების თაობაზე

ქ. თბილისი

___/___ 201_

საქართველოს მთავრობა (შემდგომში: „მთავრობა“) წარმოდგენილი საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრის, [სახელი, გვარი] მიერ;

სს „ელექტროენერჯეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“ (შემდგომში: „ესკო“), ს/კ: 205170036, წარმოდგენილი გენერალური დირექტორის, ვახტანგ ამბოკაძის მიერ;

შპს/სს [●] (შემდგომ: „კომპანია“), ს/კ: [●], წარმოდგენილი მისი დირექტორის [სახელი, გვარი] მიერ.

ვინაიდან, მემორანდუმის 15.4. პუნქტის შესაბამისად, კომპანიამ სამინისტროს წარუდგინა აუდიტორული დასკვნა მემორანდუმით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

ვინაიდან, მემორანდუმის მე-13 მუხლის შესაბამისად, ელექტროსადგურის ექსპლუატაციაში მიღების შემდგომ, აუდიტორული დასკვნის თანახმად დადგენილი დადასტურებული საინვესტიციო დანახარჯის ოდენობის სამინისტროს მიერ ფინანსურ მოდელში ასახვის შედეგად მიღებული ტარიფის ოდენობა არის მემორანდუმის მე-12 მუხლში მითითებული ტარიფის ოდენობის [ტოლი/მეტი];

ვინაიდან, ზემოაღნიშნულ შემთხვევაში მემორანდუმის მე-12 მუხლში მითითებული ტარიფი არ ექვემდებარება ცვლილებას;

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წინამდებარე შეთანხმების მხარეები ვთანხმდებით, რომ მემორანდუმის მე-12 მუხლი დარჩეს უცვლელი.

საქართველოს მთავრობა

[სახელი, გვარი]

შპს/სს [●]

[სახელი, გვარი]

სს „ელექტროენერჯეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“

[სახელი, გვარი]

შეთანხმება ტარიფის შემცირების თაობაზე

ქ. თბილისი

___/____ 201_

საქართველოს მთავრობა (შემდგომში: „მთავრობა“) წარმოდგენილი საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრის, [სახელი, გვარი] მიერ;

სს „ელექტროენერჯეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“ (შემდგომში: „ესკო“), ს/კ: 205170036, წარმოდგენილი გენერალური დირექტორის, ვახტანგ ამბოკაძის მიერ;

შპს/სს [●] (შემდგომში: „კომპანია“), ს/კ: [●], წარმოდგენილი მისი დირექტორის, [სახელი, გვარი] მიერ;

ვინაიდან, მემორანდუმის 15.4. პუნქტის შესაბამისად კომპანიამ სამინისტროს წარუდგინა აუდიტორული დასკვნა მემორანდუმით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

ვინაიდან, მემორანდუმის მე-14 მუხლის შესაბამისად, ელექტროსადგურის ექსპლუატაციაში მიღების შემდგომ, აუდიტორული დასკვნის თანახმად დადგენილი დადასტურებული საინვესტიციო დანახარჯის ოდენობის სამინისტროს მიერ ფინანსურ მოდელში ასახვის შედეგად მიღებული ტარიფის ოდენობა არის მემორანდუმის მე-12 მუხლში მითითებული ტარიფის ოდენობაზე ნაკლები;

ვინაიდან, ზემოაღნიშნულ შემთხვევაში „ესკოსთვის“ მისაყიდი ელექტროენერჯის ტარიფი ექვემდებარება შემცირებას და საწყისი ექსპლუატაციის პერიოდში ტარიფი განისაზღვრება ფინანსურ მოდელში დადასტურებული საინვესტიციო დანახარჯის ასახვის შედეგად მიღებული ოდენობით;

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წინამდებარე შეთანხმების მხარეები ვთანხმდებით, რომ მემორანდუმის მე-12 მუხლი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„12. საწყისი ექსპლუატაციის პერიოდის ყოველი წლის ზამთრის თვეებში, კომპანია ვალდებულია ელექტროსადგურის მიერ სრული ფაქტობრივად გამომუშავებული ელექტროენერჯის რეალიზაცია განახორციელოს ექსკლუზიურად „ესკოზე“ ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულების შესაბამისად, მიღების პუნქტში ტარიფით [ოდენობა (ოდენობა სიტყვიერად)] აშშ ცენტი - 1 კვტ.სთ. კომპანიამ და „ესკომ“ მემორანდუმის პირობების შესაბამისად ხელი უნდა მოაწერონ ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებას.“

საქართველოს მთავრობა

[სახელი, გვარი]

შპს/სს [●]

[სახელი, გვარი]

სს „ელექტროენერჯეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“

[სახელი, გვარი]